ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №ბ14.142119627

თარიღი: 15/07/2021

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 08 ივლისის N№ბ14.14211899 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და N50IMF121 აუქციონის შეწყვეტის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზებისათვის პირობებიანი ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 08 ივლისის N№ბ14.14211899 ბრძანება.

2. შეწყდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2021 წლის 08 ივლისს ქალაქ ბათუმში, ჭავჭავაძის ქუჩა №75-ში მდებარე 107,30 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის (საკადასტრო კოდი: 05.28.01.003.01.502) პრივატიზებისათვის გამოცხადებული N50 პირობებიანი ელექტრონული აუქციონი.

3. ეთხოვოს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“ შეწყვიტოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიმდინარე N50 ელექტრონული აუქციონი (განცხადება N50IMF121), როლითაც საპრივატიზებოდ გამოტანილია ქალაქ ბათუმში, ჭავჭავაძის ქუჩა №75-ში მდებარე 107,30 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი (საკადასტრო კოდი: 05.28.01.003.01.502).

4. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურს უზრუნველყოს ბრძანების მე-2 პუნქტის შესრულება.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30) კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

(დროებით მოვალეობის შემსრულებელი)